



N _____
/ /

000000-00-0-000000000000



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

მოგესხნებათ, რომ 2019 წლის 22 ნოემბრის სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს N01-01 /22 გადაწყვეტილებით დავინიშნე დირექტორის პოზიციაზე.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო (შემდგომში „მაუწყებელი“) პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნითაა დაფუძნებული. მაუწყებლის საქმიანობის თავისუფლება, ინტერესების სფერო და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით.

დირექტორად დანიშვნის პირველივე დღესვე მქონდა თანამშრომლებთან შეხვედრა მაუწყებელში არსებული პრობლემების გადაჭრის საკითხებზე რაც რეალურად დამხვდა, შესაძლო საკადრო ცვლილებების განხორციელებისა და მომავალში მაუწყებლის საქმიანობის ეფექტურად განხორციელების საკითხებზე. თუმცა, დასქმებულთა მხრიდან ჩემს მიმართ დამოკიდებულება იყო საკმაოდ ცივი, მათთვის თავიდანვე მიუღებელი იყო ჩემი დირექტორად დანიშვნა, რასაც არ მალავდნენ და აშკარად გამოხატავდნენ. ამასთანავე, სამწუხაროდ მათ მიაჩნდათ და მიაჩნიათ დღემდე, რომ თითქოს ჩემი მაუწყებლის დირექტორის პოზიციაზე დანიშვნით საფრთხე ექმნებოდა მათ დამოუკიდებლობას, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

ააიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ალტერნატიული პროფესიული კავშირის“ (შემდეგში „პროფესიული კავშირი“) თავმჯდომარის მალხაზ რეხვიაშვილის 02.03.2020 წერილობით შეტყობინებასთან

დაკავშირებით მოკლედ მოგახსენებთ შემდეგს:

პროფესიული კავშირის წარმოდგენილი მომართვით ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 19 თებერვლის N01-01/03 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება და 2020 წლის 19 თებერვლამდე არსებული სამტატო ნუსხის აღდგენა. მინდა ავლნიშნო ზ/აღნიშნული ცვლილებების პროექტი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენილი იყო 2020 წლის 13 თებერვალს, მას შემდეგ რაც აღნიშნული ცნობილი გახდა მმართველთა საბჭოს წევრებისათვის, ხოლო იმ პირებს რომელთაც ეხებოდა გაეგზავნათ 2020 წლის 14 თებერვალს.

2020 წლის 14 თებერვალს მაუწყებლის მრჩეველთა საბჭომ 2020 წლის 19 თებერვლისათვის მოიწვია სხდომა, რომელშიც განსახილველი დღის წესრიგის ერთერთ საკითხად მითითებული იყო 2020 წლის 13 თებერვლის დირექტორის მიერ წარდგენილი სამტატო განრიგის ცვლილებების პროექტის განხილვა.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 19 თებერვლის N01-01/03 გადაწყვეტილებით (N3 ოქმი) დამტკიცდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სამტატო განრიგი და თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგო. აღნიშნული გადაწყვეტილებით მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მოადგილეების, სამსახურეობრივი პოზიცია გაუქმდა. *თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაუწყებლის ახალი სამტატო განრიგის დამტკიცების და ცვლილებების მიუხედავად არც ერთი თანამშრომელი (მათ შორის წერილობით მიმართვაში მოხსენიებული დასაქმებულები) რეალურად არ გათავისუფლებულა სამსახურიდან. ახალი სამტატო განრიგის დამტკიცების შესაბამისად მოხდა დასაქმებულთა თანამდებობრივი პოზიციების ცვლილება ხელფასების შენარჩუნებით, რასაც დაეთანხმნენ თავად დასაქმებულებიც და მათ ახალ პოზიციებზე განაგრძეს მუშაობა.*

ამდენად, სინამდვილეს არ შეესაბამება პროფესიული კავშირის მომართვაში მითითებული ის გარემოება, რომ თითქოსდა მაუწყებლის მიერ მოხდა დასაქმებულთა უფლებების დარღვევა და მათი უკანონოდ სამსახურიდან გათავისუფლება.

პროფკავშირის მომართვაში საუბარია ნათია ზოიძესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. განვმარტავ, რომ 2019 წლის 23 დეკემბრის ბრძანებით დაზუსტდა მაუწყებლის დირექტორის პირველი მოადგილის ნათია ზოიძის (პირადი N61002015731) 2019 წლის 21 მარტის შრომით ხელშეკრულების N02-15/2019-20 მეორე მუხლის მეხუთე

პუნქტით დადგენილი შესასრულებელი სამუშაოების ცალკეული გარემოებები. დასაქმებული და დამსაქმებელი ვალდებული არიან შრომითი ურთიერთობის დარღვევების დროს დაიცვან „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მაუწყებლის ქცევის კოდექსი და სხვა საკანონმდებლო აქტები. 2020 წლის 30 იანვარს მაუწყებელს N02-26/254 განცხადებით მომართა ნათია ზოიძემ და ითხოვა სამსახურიდან გათავისუფლება. შესაბამისად, მაუწყებლის 2020 წლის 31 იანვრის N02-05/05 ბრძანებით ნათია ზოიძესთან შეწყდა შრომითი ხელშეკრულება 2020 წლის 05 თებერვლიდან მისი პირადი განცხადების საფუძველზე.

პროფკავშირის მომართვაში საუბარია ასევე შორენა ლლონტის (ახალი ამბების სამსახურის უფროსის) პოზიციიდან გათავისუფლების თაობაზე. გაცნობებთ, რომ 2020 წლის 05 თებერვლის N02-19/336 განცხადებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა დისციპლინური წარმოება. მოცემულ განცხადებასთან დაკავშირებით მაუწყებლის სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა განმარტებები. წარმოდგენილი მასალების, განმარტებების ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა შორენა ლლონტის ქმედებებით შრომითი შინაგანაწესის არსებითი, უხეში დარღვევა, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება. შექმნილი სიტუაცია კი ქმნიდა მისი ახალი ამბების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან 2020 წლის 28 თებერვალს გათავისუფლების კანონიერ საფუძველს. თუმცა, მიუხედავად ამისა, სწორედ დასაქმებულის შრომითი უფლებების დაცვის მიზნით, მაუწყებლის 2020 წლის 02 მარტის ბრძანებით შორენა ლლონტი დაინიშნა მაუწყებლის ვებ-გვედისა და სოციალური მედიის მიმართულებით კონსულტანტის თანამდებობაზე იმავე ხელფასის შენარჩუნებით, რასაც დაეთანხმა თავად შორენა ლლონტი და იგი განაგრძობს დღემდე მუშაობას მაუწყებელში.

რაც შეეხება მაია მერკვილაძეს, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მრჩველთა საბჭოს 2020 წლის 19 თებერვლის N01-01/03 გადაწყვეტილებით (N3 ოქმი) დამტკიცებული მაუწყებლის ახალი საშტატო განრიგის შესაბამისად, მაია მერკვილაძის საშტატო თანამდებობა – ახალი ამბების სამსახურის უფროსის მოადგილე გაუქმდა და შესაბამისად მაია მერკვილაძე საშტატო ცვლილებების თანახმად, 2020 წლის 24 თებერვლის ბრძანებით გადაყვანილი იქნა რადიოს საინფორმაციო გამოშვების რედაქტორის პოზიციაზე იგივე ხელფასის შენარჩუნებით, რასაც დაეთანხმა თავად მაია მერკვილაძე და იგი განაგრძობს დღემდე მუშაობას მაუწყებელში.

ამდენად, პროფკავშირების მხრიდან აპელირება იმის თაობაზე, რომ თითქოს მაუწყებლის მიღებული გადაწყვეტილებები არის უკანონო და დაუსაბუთებელი არ შეესაბამება სინამდვილეს და ვერ დავეთანხმებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაუწყებელში 2020 წლის 19 თებერვალს განხორციელებული საკადრო ცვლილებების მიუხედავად, სწორედ დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის მიზნით მოხდა დასაქმებულთა არა გათავისუფლება, არამედ მათი სამსახურებში დატოვება იმავე სახელფასო განაკვეთების შენარჩუნებით რასაც თავად დასაქმებულებიც დაეთანხმნენ. შესაბამისად, მაუწყებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც დღემდე მიღებულია, არის კანონიერი და სამართლებრივად დასაბუთებული და სწორედ დასაქმებულთა უფლებების დაცვას ემსახურება.

რაც შეეხება პროფესიული კავშირის მომართვაში მითითებულ საკითხებს: აჭარის მაუწყებლის დებულებაში ცვლილებების შეტანის, დასაქმებულთა დაცვის გარანტიების გაზრდის, როგორცაა სოციალური, სადაზღვევო, სახელფასო თუ სხვა მოთხოვნების გაზრდის თაობაზე, მოგახსენებთ, რომ აღნიშნული საკითხები უნდა გადაწყდეს სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის ფარგლებში, რის შესაძლებლობასაც დღეის მდგომარეობით მაუწყებლის ბიუჯეტი არ იძლევა.

ამასთან, ყოველი დასაქმებულისთვის გააზრებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ მაუწყებელში ახალი ხელმძღვანელის–დირექტორის დანიშვნა არ გულისხმობს იმას, რომ დასაქმებულთა მოთხოვნები შრომითი პირობების გაზრდის შესახებ (როგორცაა: ხელფასი, სადაზღვევო თანხა თუ სხვა) დაკმაყოფილებული შესაძლო იყოს ავტომატურად, რაც მანამდე არსებული ხელმძღვანელების პირობებშიც კი ვერ განხორციელდა და დღეის მდგომარეობითაც არ იძლევა ამის საშუალებას მაუწყებლის ბიუჯეტი.

მინდა შევეხო ასევე პროფესიული კავშირის წერილობით მომართვაში მითითებულ საკითხს კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნასთან დაკავშირებით, რაზედაც მოგახსენებთ, რომ მსგავსი ხელშეკრულების გაფორმების საკითხი მაუწყებლის დღის წესრიგში არ დგას და არც მისი გაფორმების აუცილებლობა არ არსებობს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მინდა აღვნიშნო პროფესიული კავშირის მომართვაში მითითებული პოზიციები იმის შესახებ, რომ მაუწყებლის დასაქმებულები აპირებენ გაფიცვას, მათი აღნიშნული ქმედება პირიქით ძალზე ხელისშემშლელი და ზიანის მომტანი იქნება მაუწყებლის მუშაობისათვის, ვინაიდან საკითხი ეხება მაუწყებლის სპეციფიკურ საქმიანობას როგორცაა უწყვეტ რეჟიმში საზოგადოებრივი ინფორმირება ტელევიზიითა და

რადიოთი. შესაბამისად, გაფიცვის შემთხვევაში დასაქმებულებს შრომითი ანაზღაურება არ მიეცემათ. აქედან გამომდინარე, იმედს ვიტოვებთ, რომ მაუწყებლის დასაქმებულებს გააზრებული აქვთ ყოველივე აღნიშნული და ისინი პროფესიული პასუხისმგებლობით მიუდგებიან მოცემულ საკითხს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია მოთხოვნა დაუსაბუთებელია და უნდა შეწყდეს მედიაცია.

პატივისცემით,

გიორგი კობრიძე

დირექტორი

